

ახალი თაობა



3 დეკემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად
ქართული ლაზარეტი. ტოპი 12

მანია ბურჭულაძე
ახუსერიძეების
საბა

ფასი გაზეთთან ერთად - 5 ლარი



სუთშაბათი, 3 დეკემბერი, 2015

№284 (6904)

ფასი: 50 თეთრი

წულუკიანი ნარმანიას წინააღმდეგ



„ნარმანიასთან ბევრჯერ მიჩხუბია“



ირაკლი
სასიაშვილი:
„ნატოსთან
ამ ფონზე
საუკეთესო
შედეგი
მივიღეთ“

„ნატომ აღიარა, რომ საქართველოს ყველა ინსტრუმენტი აქვს ნატოს წევრობისთვის“ **გვ.2**



მამუკა არაშვილი:
„2015 წლიდან
საქსამსახურების
მუშაობა უფრო
თანმიმდევრული
გახდა“

გვ.3



სოზარ სუბარი
ავარიის შემთხვევა

გვ.6




ტაქსის მძღოლი გარდაიცვალა

მიხეილ მაჭავარიანი:
„პენსია 50 ლარით
უნდა გაზრდილიყო“

როგორ იყიდა საიბიარდოდ მთავრობამ 64 ახალი მანქანა **გვ.5**



სუსში აკრედიტებული საელჩოების,
საერთაშორისო ორგანიზაციების
ნარმომადგენლებთან და **გვ.5**
უსაფრთხოების ატაშეებთან
გაერთიანებული შეხვედრა გაიმართა



აიდგილარა:
სომხები ცდილობენ,
აფხაზეთს
დაეპატრონონ“

გვ.4



ISSN 1987-9385
9 771987 938006
AIDGHILARA

ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhaliataoba

ქართული ლარის მიმართ უხსოვარი ვალუტების გახვლიტი კურსი

	აშშ დოლარი	— 2.4052
	ინგლისური სტერლინგი	— 3.6129

	ევრო	— 2.5437
	100 რუსული რუბლი	— 3.6301



ფაჩულიაშ 21 მოხსნით კარიერის პირადი რეკორდი გაიხსნა



სეზონის მე-12 ორმაგი დუბლი და პირადსარეკორდო 21 მოხსნა ზაზა ფაჩულიაშ დრამატულ ბრძოლაში გამოჰქდა. დაღასელებმა დიდი ომი გადაიტანეს პორტლენდში, სადაც თრეილ ბლეიზერის ახლოს იყო გამარჯვებამდე, მაგრამ დაღასელებმა ბოლო წამებზე ნამდვილი თრილერი გამოაცხვეს და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს. დამატებით 5-წუთულში კი დაღასელებმა ბრძოლა გამარჯვებამდე მიიყვანეს და სათავეს ანგარიში დააფიქსირეს — 115:112.

მსოფლიო კალათბურთის ვარსკვლავებთან — დირკ ნოვიცკისთან და დერონ უილიამსთან ერთად, პორტლენდში მოგებული ბრძოლის მთავარი მოქმედი პირი ზაზა ფაჩულია იყო.

ქართველმა ცენტრმა, რომელიც მოგროვებული ორმაგი დუბლებით ნბა-ს სამეულ-დახაწვის მე-9 გვერდზე

ვალენსიის მწვრთნელი გარი ნევილი გახდა

ვალენსიას ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — გარი ნევილი.

40 წლის გარი ნევილი თითქმის არ აქვს მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვალენსიის პრეზიდენტი ლეიპუნ ჩენი ნევილის დანიშნებით ძალიან კმაყოფილია.

— მიხარია, რომ ახალი მწვრთნელი ასე მალე მოვებნეთ. გარი ნევილი შესანიშნავი ფეხბურთელი იყო და, ვიმედოვნებ, ჩვენს გუნდს ის ძალიან დაეხმარება, — განაცხადა გუნდის პრეზიდენტმა.

თვითონ ნევილმაც გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ მისთვის ეს დიდი გამოწვევაა: — ვალენსია დიდი გუნდია, რომელსაც ძალიან კარგი გულშემატკივრები ჰყავს. ჩემთვის ეს დიდი გამოწვევაა და მუშაობის დაწყებას მოუთმენლად ველი.

გარი ნევილს პირველივე შეხვედრაში დიდი გამოცდა ელის, რადგან მისი გუნდი შაბათს საკუთარ მოედანზე ბარსელონას მიიღებს.



დათო კენჭიაშვილი მოსკოვში სოლო კონცერტს გამართავს

მსმენელისთვის გამორჩეულად საყვარელი მომღერალი დათო კენჭიაშვილი მოსკოვში თავის პირველ სოლო კონცერტს გამართავს. საღამო პროექტის „საქართველოს ლეგენდები“ ფარგლებში ჩატარდება.

დათო კენჭიაშვილი მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც თონა ქუშიაშვილის მიერ დაწერილი სიმღერა „რამდენი მალოდინე“ შეასრულა. მის ჩანაწერებს იუთუბში ყველაზე მეტი ნახვა და მონონება აქვს. მომღერალი არ მალავს, რომ მსმენელისგან ყოველ ნახვებზე გრძობს სიყვარულს და მზად არის, თვითონაც იგივე სიტხებით უპასუხოს.

დათო კენჭიაშვილის ერთადერთი კონცერტი რუსეთის დედაქალაქში იქ მცხოვრები ქართველებისთვის და არამარტო ქართველებისთვის გაიმართება. 10 თებერვალს მოსკოვის სახელმწიფო საესტრადო თეატრში დათო კენჭიაშვილის ერთგული მსმენელები და გულშემატკივრები შეიკრიბებიან.

ეკა ირემაშვილი

გიორგი ქისტაური „ახალ ხმაში“ დააბრუნეს



ქართული ინტერნეტის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ვარსკვლავი გიორგი ქისტაური „ახალ ხმაში“ დააბრუნეს.

მომღერალი და იუმორისტი პოპულარული რამდენიმე წლის წინ გახდა. მან ინტერნეტში ცნობილი ადამიანების პაროდების შესრულებით გაითქვა სახელი. მოგვიანებით გიორგიმ საკუთარი მუსიკალური შესაძლებლობების გამოვლენა გადაწყვიტა და „იქს ფაქტორში“ მიიღო მონაწილეობა, თუმცა რჩეულთა შორის ვერ მოხვდა.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

იუმორი

მოსამართლე მსჯავრდებულ გოგონას ეკითხება:

— რატომ მოწამლეთ თქვენი მეზობლები?
— იცით რაშია საქმე, მაღაზიაში მითხრეს, რომ უკეთესი იქნება თუ ტარაკანებს მეზობლებთან ერთად მოწამლავთო.

კაცს თუთიყუში აჩუქეს. მიიყვანა სახლში. ძალიან ლამაზია, მაგრამ სულ იგინება. აგინებს პატრონს, მის ცოლს, დედას, მამას, მოკლედ, ყველას, ვისაც კი დანახავს სახლში. კაცმა რა აღარ გააკეთა, რომ გინებას გადაეჩვია, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს ადგა და მაცივარში შეაგდო. გავიდა ხუთი წუთი, ათი, თხუთმეტი, ნახევარი საათი. ბოლოს პატრონს შეეცოდა, მაცივრის კარი გამოაღო და თუთიყუში ეუბნება:

— მაპატიეთ, ღრმად ვინანიებ ჩემ საქციელს. მართალი არ ვიყავი, ყველანი ძალიან კარგები ხართ.

— კარგი, არა უშავს, ვის არ მოსვლია, — უპასუხა გულაჩუყებულმა პატრონმა.

— შეიძლება ერთი რამ გკითხოთ?
— მკითხე.
— იმ ქათამმა რა დააშავა?
— ქმარი ცოლს ეუბნება: — ყველა შენი დაქალი ნამდვილი საშინელებაა.
— ყველა შენი მეგობარი

კი ლოთია.

— შენი მეგობრების დანახვაზე კაცი გალოთდება, აბა რა იქნება...
— ბიჭი გოგონას ტელეფონით გაიცნობს და ეკითხება: — რამდენია შენი სიმაღლე?
— 148 სანტიმეტრი.
— ოჰ, პატარა ფერია ხარ. და წონა?
— კიდევ უფრო მცირე, 120 კილოგრამი...
— იცით რაშია საქმე? — ბიჭი გოგონას ეუბნება: — ამ შაბათს ჩემთან ხომ არ გვესადილა?
— დიდი მადლობა, მაგრამ შაბათს ვთხოვდები.
— მაშინ იქნებ პარასკევს?
— კაცი ქალს ეკითხება: — ქალბატონო, აქამდე რატომ არ გათხოვდით?
— იცით რაშია საქმე? მე ისეთ მამაკაცს ველი, რომელიც ყველასგან გამორჩეული იქნება, რომელსაც არა ჩემი სხეული, ჩემი ფული და კავშირები დაინტერესებს, არამედ ჩემი სული!
— ქალბატონო, თქვენ რა... ეშმაკს ელით?
— ქმარი ცოლს ეძახის: — აქ მოდი შე დედა... ცოლი ქმარს ეკითხება: — რატომ მაგინებ?
— კი არ მაგინებ, სიმათლეს გეუბნები!

კალეიდოსკოპი ჩინელმა წყვილმა საქსის ბაგამ გახდომა გადაწყვიტა

ჩინეთის სიჩუანის პროვინციაში მცხოვრებმა ცოლ-ქმარმა 2,7 ათასი კილომეტრი გაიარა იმისთვის, რათა წონის შესამცირებელი ოპერაცია გაიკეთონ. ლინ იუმე და მისმა მეუღლემ დენ იანმა იმისთვის გადაწყვიტეს ზედმეტი კილოგრამების მოშორება, რათა სქესობრივი ურთიერთობის დამყარება და ბავშვების ყოლა შეძლონ.

ახალგაზრდა წყვილის საერთო წონა 394 კილოგრამს შეადგენს. 30 წლის ჩინელებისთვის მათ ქორნილიში საგანგებოდ შეიკერა საზეიმო ჩასაცმელები, ვინაიდან მალაზიებში მათი ზომის ტანსაცმელი ვერ იპოვეს.

ზედმეტი კილოგრამებისგან განთავისუფლებისკენ წყვილს ყველაზე მუსუქნი ჩინელი ქალის ისტორია უბიძგა, რომელმაც წონის დაკლება კუჭზე ოპერაციის გაკეთებით მოახერხა. კიან კიანი ნახევარ ტონას იწონიდა. წყვილს სწორედ ასეთი ოპერაციის გაკეთებას აპირებს. მათ იმედი აქვთ, რომ წონაში მათების შეჩერებას შეძლებენ.

მოამზადა კანა ხატიაშვილმა



მოამზადა კანა ხატიაშვილმა